ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1934 წ. მაისის 25. № 7 ცვილისი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება.

67. ქალაქ გურჯაანის დაარსების შესახებ.
68. საქართველოს სსრ-ში 39 ახალი სასოფლო საბჭოს დაარსების შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა.

69. „სანებაყოფლო საზოგადოებათა საწარმოო და კომერციული საქმიანობისა და სალატარიო მუშაობის თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ.

მრეწველობა.

70. საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის და შინამრეწველობის კომიტეტის დებულების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

მშენებლობა.

71. სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებში ახალ შენობათა დადგმისათვის და არსებულ შენობათა და ნაგებობათა რეკონსტრუქციის და გაფართოებისათვის საწარმოებელი ყველა სამშენებლო სამუშაოს სავალდებულო რეგისტრაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

72. საერთო-საკავშირო საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე მდებარე, ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე, ტყეების ამ საბჭოთა მეურნეობების მუდმივ და უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ.
73. საგაზაფხულო თესვისათვის სათესლე მარცვლეულის გამზადების შესახებ.
74. თამბაქოს, სავალდებულო დარგვისა და 1934 წლის მოსავლის სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციის ბეგმის შესახებ.
75. მინდვრის თაგვების გამოკვლევისათვის საჭირო საგაზაფხულო სამუშაოების და მათთან ბრძოლის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

76. კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

ტრანსპორტი.

77. საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

შრომა.

78. მომუშავეთა რაოდენობისა და სამუშაო ხელფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვის შესახებ.

79. შვიდსაათიანი სამუშაო დღის პრაქტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად მოწყობილი რესპუბლიკანური კომისიის გაუქმების შესახებ.

განათლება.

80. საქართველოს სსრ-ის მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

81. მუსიკალურ-ფილჰარმონიული სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა და მუსიკალურ-სასწავლო მოთა, საესტრადო და საგასტროლო-სათქატრო საქმის სახელმწიფო შენაერთის მოწყობის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

82. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მედიკურ-სანიტარული მომსახურეობის საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

სახელმწიფო წყალგილება

67. დადგენილება ც.ა.კ.

ქალაქ გურჯაანის დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I.

1. გამოყოფილ იქნეს გურჯაანის სასოფლო საბჭოს ქვემდებარე ტერიტორიიდან სოფ. გურჯაანის ის ნაკვეთები, რომლებზედაც მდებარეობენ სარაიონო დაწესებულებანი და რკინის გზის ვოკზალი, კურორტი ახტალა და სოფ. კოტეხი და ამ გამოყოფილ ტერიტორიაზე დაარსდეს ქ. გურჯაანი.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ ნაკვეთების გამოყოფის შემდეგ დარჩენილ სოფ. გურჯაანის ნაწილს ეწოდოს სოფ. ძველი-გურჯაანი.

3. მოეწყოს ქ. გურჯაანში საქალაქო საბჭო საერთო საფუძვლებზე, რაც დადგენილია მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების დებულებით.

4. გურჯაანის საქალაქო საბჭოს არჩევისათვის საარჩევნო ნორმად დადგენილ იქნეს ერთი დეპუტატი 50 ამომრჩეველზე.

5. ამ ჟამად არსებული გურჯაანის სასოფლო საბჭო დაიშალოს და ჩატარებულ იქნეს გურჯაანის საქალაქო საბჭოს და ძველი-გურჯაანის სასოფლო საბჭოს არჩევნები საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციით გათვალისწინებული წესით.

II.

„მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების დებულების“ 1-ლი მუხლი და მე-6 მუხლის პირველი ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 2) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემომდევნო მუხლებით გათვალისწინებულ საფუძვლებზე, ეწყობა ქალ. ტფილისში, ბათომში, სოხუმში, ცხინვალში (სტალინირი), ქუთაისში, ფოთში, თელავში, გურჯაანში, გორში, ხაშურში (სტალინისი), ბორჯომში, ახალციხეში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ხონში, სენაკში, ზუგდიდში და ოზურგეთში.

შენიშვნა. ქალ. სიღნაღში, დუშეთში, ახალქალაქში, ონში, ოჩემჩირეში, გუდაუთში და გაგრაში ეწყობა სასოფლო საბჭო სასოფლო საბჭოების შესახებ მომქმედი კანონმდებლობის საფუძვლებზე".

„6. (1 ნაწილი). საქალაქო საბჭო აირჩევა შემდეგი ანგარიშით: ტფილისში—ერთი დეპუტატი 200 ამომრჩეველზე, ქუთაისში—ერთი დეპუტატი 150 ამომრჩეველზე, ბათომში—ერთი დეპუტატი 100 ამომრჩეველზე, სოხუმში, ცხინვალში (სტალინირში), ფოთში, თელავში, გურჯაანში, გორში, ხაშურში (სტალინისში), ბორჯომში, ახალციხეში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ხონში, სენაკში, ზუგდიდში და ოზურგეთში—ერთი დეპუტატი 50 ამომრჩეველზე".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. თებერვლის 1.

ტფილისი.

1548

---

68. დადგენილება ც. ა. კ.

საქართველოს სსრ-ში 39 ახალი სასოფლო საბჭოს დაარსების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს: დაარსებულ იქნეს შემდეგი ახალი სასოფლო საბჭო.

I. **კასპის რაიონში:**

ა) გამოეყოს წითელქალაქის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზემო-ხანდაკი და ფაშიანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ზემო-ხანდაკში.

ბ) გამოეყოს ქვემო-ჭალის სას. საბჭოს სოფლები: კოდის-წყარო, ზემო-რენი, ქვემო-რენი, სარიბარი, ქვემო-ნიგოზა, ზემო-ნიგოზა, ყარაფილა, ზადიანთკარი და ჩობალაური და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. კოდის-წყაროში;

გ) გამოეყოს მეტეხის სას. საბჭოს სოფლები: ქვემო-გომი და ნიაბი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფ. ქვემო-გომში;

დ) გამოეყოს კავთის-ხევის სას. საბჭოს სოფლები: მირიანეული, მიქელწყარო და ქებანი და შეუერთდეს კასპის სასოფლო საბჭოს;

ე) გაუქმდეს თვალადის სასოფლო საბჭო და მის ნაცვლად დაარსდეს წინარეხის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. წინარეხში, რომელშიაც შევიდეს შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდეგი სოფლები: წინარეხი, გუდალეთი, ვარჯაანი, თელათგორი, ლავრისხევი, გომისჯვარი, წიფორი, სანაობანი, საკურთხისი, ზვარიკოტმანი, ვერხვეულა, სამტრედო, შუბათი, პარტისი და ბოტისი. სოფ. თვალადი შეუერთდეს კავთისხევის სასოფლო საბჭოს;

ვ) გამოეყოს წითელქალაქის საბჭოს სოფლები; ახალციხე, ნოსტე და მთიულთ-უბანი და დაარსდეს ახალი სას. საბჭო, ცენტრით სოფ. ახალციხეში.

2. გორის რაიონში:

ა) გამოეყოს შინდისის სას. საბჭოს სოფლები: ზემო-ნიქოზი, ქვემო-ნიქოზი, ზემო-ხვითი და ქვემო-ხვითი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ქვემო ხვითში;

ბ) გამოეყოს ტირძნისის სას. საბჭოს სოფლები: დიცი, ერგნეთი, ქორდი და არბო და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ დიცში;

გ) გამოეყოს მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოს სოფლები: ბერშუეთი და კინბალი და ქვემო ახალსოფლის სასოფლო საბჭოს სოფელი ზემო-სობისი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით, სოფელ ბერშუეთში;

დ) გამოეყოს ქვემო ახალსოფლის სასოფლო საბჭოს სოფლები: შავშვეთი, ნაწრეტი, ვოროშილოვი, წითელი უბანი, ებრაელთა უბანი, ახალშენი და ავაზანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ შავშვეთში;

ე) გამოეყოს ხიდისთავის სასოფლო სიბჭოს სოფლები: უფლისციხე და ქავხრელი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით, სოფელ ქავხრელში.

3. სტალინისის რაიონში:

ა) გამოეყოს სურამის სასოფლო საბჭოს სოფლები: ცოცხნარა, ოძისი, ციცინწყარო, ცედანი, წაბლოვანი, ქემფერი და ბრილი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ცოცხნარაში;

ბ) გამოეყოს ქარელის სასოფლო საბჭოს სოფლები: კეხის-ჯვარი, სამწერისი, თათანაანთ უბანი, სანებელი, ქობესაანთ უბანი და კიდუ, ზღუდერის სასოფლო საბჭოს სოფლები: ვედრება და კრობანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ კეხის ჯვარში.

4. დუშეთის რაიონში:

ა) გამოეყოს შუა-არაგვის-პირის სასოფლო საბჭოს სოფლები: კარიაულთ კარი, მილახვრიანთ კარი, კობიანთ კარი, მთვარელიანთ კარი და ქალაქი დუშეთი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით ქალაქ დუშეთში;

ბ) შუა-არაგვის-პირის სასოფლო საბჭოდან გამოიყოს სოფლები: პირმისაანთ კარი და ვარსიმაანთ კარი, რომლებიც შეუერთდეს ბაზალეთის სასოფლო საბჭოს;

გ) შუა-არაგვის-პირის სასოფლო საბჭოს ცენტრი ქალაქ დუშეთიდან გადატანილ იქნეს სოფელ ჭონქაანთ კარში და ეწოდოს აღნიშნულ საბჭოს დანიელ ჭონქაძის სახელობის სასოფლო საბჭო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გამოეყოს ჟინვალის სასოფლო საბჭოს სოფლები: ხეობა: კენჭაკერდი, გურგალო, ახალციხე და საცხვატო; ჭოპორტის სასოფლო საბჭოდან—სოფლები: ნოჯა, ნოჯიკეთი, ფიქვიანი და კოშკას ყელი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ხეობაში;

ე) გამოეყოს ბაზალეთის სასოფლო საბჭოს სოფლები: ჭილურტი, ზემოუბნისი და ქვემო უბნისი, რომლებიც შეუერთდეს მჭადისჯვრის სასოფლო საბჭოს.

5. ტფილისის გარეუბნის რაიონში:

ა) გამოეყოს გალავნის სასოფლო საბჭოს სოფლები: საგურამო, ახალსოფელი, შანკევანი, ბიწმენილი და ჯიღაური და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ საგურამოში;

ბ) გამოეყოს ნატახტარის სასოფლო საბჭოს სოფლები: გოროვანი, ჩარდახი, სხალტბა, წეროვანი და ლამი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ გოროვანში;

გ) გამოეყოს ძეგვის სასოფლო საბჭოს სოფლები: ქვემო ნიჩბისი, ზემო ნიჩბისი, სახსორი, ვარდის უბანი, ნატბეურა, ზემო უბანი და ახალსოფელი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ქვემო ნიჩბისში.

6. ალბულახის რაიონში:

ა) გამოეყოს პრიუტის სასოფლო საბჭოს სოფლები: ღვევი, დრე, ქვემოწყლულეთი, ზემო წყლულეთი, ლასტის ციხე, ვანეთი, შავმთა 1, შავმთა II, შავმთა III, დიდგორი და ახალი პანტიანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ღვევში.

7. ახალციხის რაიონში:

ა) გამოეყოს ფამაჩის სასოფლო საბჭოს სოფლები: წყალთბილა, ჯულლა, აბათხევი და ნიოხრები და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ წყალთბილაში;

ბ) გამოეყოს ურაველის სასოფლო საბჭოს სოფლები: ქისათიბი, ცხორძა, ღრომა, ანდრია წმინდა, ანდა და არჯული და დაარსდეს ახალი ქისათიბის სასოფლო საბჭო, ცენტრით ქისათიბის მაღაროებში;

გ) აგარის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ პატარა აგარიდან გადატანილი იქნეს სოფელ კანტიეთში;

დ) გამოეყოს აწყურის სასოფლო საბჭოს სოფლები: აგარა, ნინუბანი და გურკელი და მუგარეთის სასოფლო საბჭოს—სოფელი ზიკილია და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ აგარაში;

გ) გამოეყოს აწყურის სასოფლო საბჭოს სოფლები: საყუნეთი, კოპაძე, ბლორძა და ორფოლა და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ საყუნეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ზესტაფონის რაიონში:

ა) გამოეყოს კვალითის სასოფლო საბჭოს სოფლები: ცხრა-წყარო, ძლოურ-დანაეთი და ზედა კვალითი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ცხრა-წყაროში;

ბ) გამოეყოს შორაპნის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზემო წევა, ქვემო წევა და წიფლავაკე და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით საშუალო ადგილას, და ეწოდოს მას წევის სასოფლო საბჭო;

კ) გამოეყოს შორაპნის სასოფლო საბჭოს სოფლები: ქვედა ილემი და ზედა ილემი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით საშუალო ადგილას, და ეწოდოს მას ილმის სასოფლო საბჭო.

9. ხორაგოულის რაიონში:

ა) გამოეყოს ხორაგოულის სასოფლო საბჭოს სოფლები: საღანძილე, ზარანი, სხლითი და ვანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ საღანძილეში;

ბ) გამოეყოს ხორაგოულის სასოფლო საბჭოს სოფლები: ფარცხანალი, ახალსოფელი და ღუდუმეექედი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფ. ფარცხანალში.

10. ჩხარის რაიონში:

ა) გამოეყოს ზედა სიმონეთის სასოფლო საბჭოს სოფლები: ეწერი და ახალი უბანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ეწერში;

ბ) გამოეყოს ჩხარის სასოფლო საბჭოს სოფელი ახალი თერჯოლა და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო.

11. ბაღდადის რაიონში:

გამოეყოს ბაღდადის სასოფლო საბჭოს სოფლები: პირველი ფერსათი, მეორე ფერსათი და შუბანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო სოფელ პირველ ფერსათში.

12. ვანის რაიონში:

ა) გამოიყოს ქვედა ვანის სასოფლო საბჭოდან სოფლები სალხინო და ზენობანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ სალხინოში;

ბ) გამოიყოს გორა-ზეინდრის სასოფლო საბჭოდან სოფლები: ზედაგორა და ქვედა გორა და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით საშუალო ადგილას, და ეწოდოს მას გორას სასოფლო საბჭო;

გ) გამოიყოს სულორის სასოფლო საბჭოდან სოფელი ძულუხი და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო;

დ) გორა-ზეინდრის სასოფლო საბჭოს ეწოდოს ზეინდრის სასოფლო საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ტყიბულის რაიონში:

გამოიყოს გურნის სასოფლო საბჭოდან სოფლები: ძმუისი, და კისორეთი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ძმუისში.

14. მარტვილის რაიონში:

გამოიყოს ლეხაინდრაოს სასოფლო საბჭოდან სოფლები: ლეხაინდრაო და ნოჯიხევი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო ცენტრით, სოფელ ლეხაინდრაოში, და ეწოდოს ამ საბჭოს ლეხაინდრაოს სასოფლო საბჭო, ხოლო ძველი საბჭოს ცენტრი დატოვებულ იქნეს სოფელ ნაგიბეროვოში და ეწოდოს მას ნაგიბეროვოს სასოფლო საბჭო.

15. წალენჯიხის რაიონში:

ა) გამოეყოს წალენჯიხის სასოფლო საბჭოს სოფლები: ნაკიფუ, ულურია და ხემო ობუჯი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ნაკიფუში;

ბ) გამოეყოს წალენჯიხის სასოფლო საბჭოს სოფელი ფუქი და დაარსდეს ამ სოფელში ცალკე სასოფლო საბჭო.

16. ჭიათურის რაიონში:

ა) გამოეყოს ლიჩის სასოფლო საბჭოს სოფლები: ჭალვანი, ზედა ჭალვანი, და ხვანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ზედა ჭალვანში;

ბ) გამოეყოს რგანის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზედა რგანი, კენჭოშვილები, თაბაგრები, ბუნიკაური და სარქველეთ-უბანი და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ სარქველეთ-უბანში;

გ) გამოეყოს მერევის სასოფლო საბჭოს სოფლები: ზედა ბერეთისა, ქვედა ბერეთისა და წყალშავის ნაწილი, ხოლო ჩხიროულის სასოფლო საბჭოს სოფელი მეჩხეთური და დაარსდეს ახალი სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ ბერეთისაში.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. თ. **ჟღენტი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მაგ. **მ. ვარამაშვილი.**

1934 წ. თებერვლის 1.

ტფილისი.

სახელმწიფო მმართველობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

69. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„სანებაყოფლო საზოგადოებათა საწარმოო და კომერციული საქმიანობისა და სალატარიო მუშაობის თაობაზე“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. სექტემბრის 27-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 61 №-ი, მუხ. 362), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ ყველა სანებაყოფლო საზოგადოებას—მოახდინოს, ერთი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, ყველა იმ თავისი სავაჭრო და წარმოებითი საწარმოს ლიკვიდაცია, რომლის საქმიანობის ხასიათიც უშუალოდ არ გამომდინარეობს საზოგადოების ძირითადი ამოცანებიდან და რომელსაც მიზნად აქვს მხოლოდ სახსრის მოპოება.

2. წინა მუხლში აღნიშნული წარმოებითი საწარმონი უნდა გადაეცეს აღნიშნულ ვადაზე სათანადო სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, მათთან შეთანხმებით; ხოლო, უკეთუ შეთანხმება მიღწეულ არ იქნა, ეს საწარმონი ლიკვიდირებულ უნდა იქნენ.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—მოსპოს სანებაყოფლო საზოგადოებათა იმ სავაჭრო და წარმოებითი საწარმოების რეგისტრაცია, რომელთა არსებობა ამ საზოგადოებათა წესდებებით არ შეიძლება და რომლებიც არ შეესაბამებიან აღნიშნულ საზოგადოებათა ძირითად ამოცანებს.

4. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1934 წ. მარტის 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 68 №-ში 1934 წ. მარტის 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

70. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტის დებულების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის რედაქციის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტის დებულების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-17 №-ი, მუხ. 231) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

[2. სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტი მოქმედობს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილის თავმჯდომარეობით.

კომიტეტის წევრები არიან:]

„ა) სარეწა კოოპერაციის საბჭოს „სარეწაო საბჭოს“ და სატყეო-სარეწაო კოოპერაციის კავშირის („საქტყემრეწკავშირი“) თავმჯდომარენი“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. მარტის 10.

ტფილისი.

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

71. დადგენილება ს.კ.ს.

„სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებში ახალ შენობათა დადგმისათვის და არსებულ შენობათა და ნაგებობათა რეკონსტრუქციის და გაფართოებისათვის საწარმოებელი ყველა სამშენებლო სამუშაოს სავალდებულო რეგისტრაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის იანვრის 10-ის დადგენილებას „სასოფლო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებში ახალ შენობათა დადგმისათვის და არსებულ შენობათა და ნაგებობათა რეკონსტრუქციის და გაფართოებისათვის საწარმოებელი ყველა სამშენებლო სამუშაოს სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 33 №-ი, მუხ. 50) დაემატოს მე-8 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„8. მშენებლობას რეგისტრაციის დროს არასწორე ცნობების წარდგენა გამოიწვევს ჯარიმას 100 მანეთამდე ან იძულებით მუშაობას ერთ თვემდე, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიდება საადმინისტრაციო წესით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 17-ის დადგენილებით დამტკიცებული ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულების შესაბამისად (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236).

მშენებლობის რეგისტრაციის დროს განზრახ დამახინჯებული ცნობების წარდგენა ან სააღრიცხვო-საანგარიშო ცნობების წარდგენის ფორმებისა და ვადების სისტემატურად ან ბოროტულად დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილებით „არასწორე სააღრიცხვო და საანგარიშო ცნობების წარდგენისათვის და აგრეთვე სააღრიცხვო-საანგარიშო მასალების წარდგენის ფორმების და ვადების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 34)“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. მარტის 10.

ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

72. დადგენილება ს.კ.ს.

საერთო საკავშირო საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე მდებარე, ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე, ტყეების ამ საბჭოთა მეურნეობების მუდმივ და უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

„საერთო-საკავშირო საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე მდებარე, ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე, ტყეების ამ საბჭოთა მეურნეობების მუდმივ და უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. დეკემბრის 27-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 4), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს—გადასცენ საერთო-საკავშირო საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე მდებარე, ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე, ტყეები ამ საბჭოთა მეურნეობების მუდმივ და უსასყიდლო სარგებლობაში.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ტყეების გადაცემის დროს უნდა დაიღვას შეთანხმებანი იმ საფუძველთა შესახებ, რომელთა ნიხედვითაც თავიანთ სარგებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში ტყეების მიმღებმა საბჭოთა მეურნეობებმა უნდა გადასცენ სარეზერვო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების განკარგულებაში ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ის ზედმეტი მერქანი, რაც საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილებას აღემატება.

3. საერთო-საკავშირო საბჭოთა მეურნეობებისათვის გადაცემულ, ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე, ტყეებში ხე-ტყის კაფვის მოწესრიგება და კონტროლი ჰრჩებათ სამიწათმოქმედო ორგანოებს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. მარტის 10.

ტფილისი.

---

73. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

საგაზაფხულო თესვისათვის სათესლე მარცვლეულის გამზადების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. თებერვლის 25-ის დადგენილების შესაბამისად („ზარია ვოსტოკას" 50 №-ი, 1934 წ. თებერვლის 27-ის), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს ყველა საბჭოთა მეურნეობას, კოოპმეურნეობას, კოლექტიურ მეურნეობას და ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობას დაუყოვნებლივ შეამოწმონ, რამდენად გაღივებაუნარიანია, რამდენად წმინდაა და დაავადებულია თუ არა მთლად სათესლე მასალა (თავთავიანი კულტურები და სიმინდი), რისთვისაც თვითეული მარცვალსაცავიდან და მარცვლეულის თვითეული პარტიიდან ამოცემულ უნდა იქნეს სინჯი.

2. საბჭოთა მეურნეობებმა და კოოპერატიულმა მეურნეობებმა სათესლე მარცვლეულის შემოწმება უნდა მოახდინონ ლაბორატორული საშუალებით საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული წესების თანახმად, ხოლო იმ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, სადაც სტაციონარული ლაბორატორიები არ არსებობს, აღნიშნული მიზნისათვის მოწყობილ უნდა იქნეს სპეციალური ლაბორატორიები.

3. კოლექტიური მეურნეობანი და ერთპიროვნული მეურნეობანი სათესლე მარცვლეულის შემოწმებას აწარმოებენ შემდეგი გამარტივებული საშუალებით:

ა) დასათესად დანიშნული სათესლე მასალიდან აიღება საშუალო სინჯი მცირე რაოდენობით სხვადასხვა ადგილას 500 გრამამდე—ისეთი ვარაუდით, რომ საშუალო სინჯის მარცვალი ახასიათებდეს მთელი პარტია თესლის თვისებას;

ბ) ნიმუშად აღებული მარცვალი კარგად აირევა და ამ ნიმუშიდან აიღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე პორცია (დაახლოებით 50 გრამამდე) და აქედან გადაირჩევა უწყებული კულტურის საღი, მთელ-მთელი მარცვალი;

ბ) უწყებული კულტურის გადარჩეული წმინდა თესლიდან გამოიყოფა ორი სინჯი ას-ასი მარცვლით თვითეული, რაც ცალ-ცალკე მოთავსდება გასალივებლად ბრტყელ-ფსკერა ჭურჭელში (თეფში) დანოტიავებულ ქვიშაში, ქსოვილში ან საშრობ ქაღალდში (რაც დაკეცილ უნდა იქნეს სამ-ოთხ ფენად);

დ) ჭურჭელს დაეფარება მიწა ან ქაღალდი და იგი დაიდგმის ოთახის ტემპერატურაში (18-20 გრადუსი ცელსიით);

ე) მეორე დღიდან დაწყებული სწარმოებს სისტემატური და ყოველ-დღიური დაკვირვება და აღინიშნება 7 სრული დღის განმავლობაში გაღივებული ხორბლისა, ქერისა ან შვრიის მარცვლის რიცხვი, ხოლო 10 სრული-დღის განმავლობაში—სიმინდის, ფეტვის და მაგარი ხორბლის (თავთუხი) გაღივებული მარცვლის რიცხვი;

ვ) აღნიშნულ ვადაზე ორივე სინჯის გაღივებულ მარცვალთა რიცხვი გაიყოფა ორად, რაც შეადგენს ამ თესლის გაღივება-უნარიანობის პროცენტს.

4. აღინიშნოს, რომ „1934 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. იანვრის 20-ის დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი თესლეულის სავალდებულო გაწმენდისა და დაწამლვისათვის ხორციელდება სრულიად არადამაკმაყოფილებლად.

დაევალოს სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებს ‌ და კოოპერატიულ მეურნეობებს—უზრუნველყონ ზემოაღნიშნული 1934 წ. იანვრის 20 ის დადგენილებით განსაზღვრულ ვადებზე მთელი სათესი მასალის სავალდებულო მთლიანი გაწმენდა (დამხარისხებლებითა და შემცეგ ტრიერებით) და დაწამლვა.

5. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მოაწყოს თავის ლაბორატორიებში სათესლე მარცვლეულის თვისების საკონტროლო შემოწმება გაღივება-უნარიანობისა, სიწმინდისა და განაგვიანების გამოსარკვევად (განსაკუთრებით კოლექტიური და ერთპიროვნული სექტორების ხაზით).

უზრუნველყოფილ იქნეს ამ ლაბორატორიებში მარცვლეულის თვისების შემოწმება იმ რაოდენობისა, რომელნიც საეჭვონი არიან სათესი მასალის დაავადების მხრით).

6. ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად 1934 წლის საგაზაფხულო თესვა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ისეთი თესლით, რომლის გაღივება-უნარიანობა 90%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

უფრო ნაკლები გაღივება-უნარიანობის მქონე (ხოლო არა ნაკლებ 80%-ისა) თესლის დათესვა შეიძლება მარტო განსაკუთრებულ შემთხვევაში, თანაც იმ პირობით, რომ მეურნეობებმა აუცილებლად უზრუნველყონ განთესვის ნორმის სათანადო გადიდება.

7. უკეთუ აღმოჩნდება დაბალი გაღივება-უნარიანობის მქონე, განაგვიანებული, ზედმეტი სინოტივის მქონე ან მავნებლებით დაავადებული (გუდაფშუტა, ცხვირგრძელა ჭია, ტკიპი და სხვა მისთ.) მარცვლეული, ხმარებულ უნდა იქნეს ყველა საჭირო ღონისძიება ამ მარცვლეულის სათესლე თვისებების ამაღლებისათვის (გაწმენდა, განიავება, გადახვავება, განსაკუთრებით კი დაწამლვა); ხოლო უკეთუ აღმოჩნდება ისეთი სათესი მასალა, რომლითაც უზრუნველყოფილი არ იქნება ამა დადგენილების მე-6 მუხლში აღნიშნული გაღივება-უნარიანობა, უვარგისი სათესი მარცვლეული გაცვლილ უნდა იქნეს ვარგისზე, კერძოდ, იგი უნდა შეიცვალოს საკვებ მარცვლეულზე იმავე მეურნეობებში ან ნებაყოფლობით გაიცვალოს სხვა მეურნეობებში ზედმეტ უკეთეს სათესლე მარცვლეულზე.

8. პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის დაეკისროს:

ა) საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში—საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპმეურნეობების დირექტორებს და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების სათანადო შენაერთების ხელმძღვანელებს;

ბ) იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომლებსაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ,—კოლეტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და პოლიტგანყოფილებათა უფროსებს;

გ) იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები არ უწევენ,—კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებების გამგეებს;

დ) ერთპიროვნულ-საგლეხო მეურნეობებში—სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგეებს.

9. ამა დადგენილების 1, 3, 4, 6 და 7 მუხლებით გათვალისწინებული წესების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 26-ის დადგენილების მე 4 მუხლის თანახმად („სავალდებულო აგრონომიულ წესების დადგენის შესახებ"—საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-7 №-ი, მუხ. 94).

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) გამოსცეს ორი დღის ვადაზე სათესი მასალის თვისების გამოცდის წესები, რაც საავალდებულოა ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპმეურნეობისათვის;

ბ) იმავე ვადაზე გამოსცეს და დაუგზავნოს ყველა რაიონს ყველა სასოფლო საბჭოს კოლექტიური მეურნეობისათვის მისაწოდებლად ფურცელი კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში სათესი მასალის გაღივება-უნარიანობის გამოცდის გამარტივებული წესების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დაუყოვნებლივ მოაწყოს თავის ლაბორატორიებში სათესი მასალის ხარისხ-სების საკონტროლო გამოცდა, რისთვისაც უნდა გააფართოოს ამ ლაბორატორიების ქსელი;

დ) დაუყოვნებლივ მობილიზებულყოს ადგილებისათვის დასახმარად 15 აგრონომი და გაანაწილოს ისინი ამ რაიონებს შორის, რომელთაც ესაჭიროებათ ეს დახმარება.

11. დაევალოს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტების მდივნებს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონული კომიტეტების მდივნებს:

ა) მიიღონ თავიანთ უშუალო და პასუხსაგები ხელმძღვანელობის ქვეშ საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო სათესლე მარცვლეულის განმზადების მთელი საქმე;

ბ) მობილიზებულყონ ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათა კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში განსახორციელებლად სპეციალისტების სარაიონო კადრები;

გ) მოაწყონ კოლექტიურ მეურნეობებში, კოლმეურნეთა შორის და ერთპიროვნულ მეურნეობებში მასური კამპანია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის თებერვლის 25-ის დადგენილების მნიშვნელობის განმარტებისათვის.

12. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო და რაიონული კომიტეტები, საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპმეურნეობების დირექტორები და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორები და პოლიტგანყოფილებათა უფროსები მოვალენი არიან აცნობონ თვითეულ 5 დღეში ერთხელ მათ მიერ მიღებული ღონისძიებანი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1934 წ. მარტის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 54 №-ში 1934 წ. მარტის 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

74. დადგენილება ს. კ. ს.

თამბაქოს სავალდებულო დარგვისა და 1934 წლის მოსავლის სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

1934 წელს „თამბაქოს და წეკოს ნათესი ფართობებისა და ამ კულტურების სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 25-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-7 №-ი, მუხ. 50), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განსაზღვრულ იქნეს საქართველოს სსრ-ში 1934 წლის მოსავლიდან თამბაქოს პროდუქციის სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციის გეგმა 12.190 ტონას რაოდენობით; აქედან აფხაზეთის ავტ. სსრ-ში 7.080 ტონა, ხოლო საქართველოს დანარჩენ რაიონებში—5.110 ტონა.

2. დასაკონტრაქტებელი თამბაქოს პროდუქციის ზემოაღნიშნული რაოდენობით გამოსვლის უზრუნველსაყოფად დაწესებულ იქნეს:

ა) დარგვის გეგმა 19.200 ჰექტარის რაოდენობით; აქედან აფხაზეთში—12.000 ჰექტარი და საქართველოს დანარჩენ რაიონებში—7.200 ჰექტარი;

ბ) საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით ჩასაბარებელი (გასაყიდი) ნედლეულის სავალდებულო საშუალო რაოდენობა ერთ ჰექტარზე: აფხაზეთში—5,9 ცენტნერი, ხოლო საქართველოს დანარჩენ რაიონებში—7,1 ცენტნერი.

3. დამტკიცებულ იქნეს თამბაქოს დარგვის გეგმისა, ჩაბარების სავალდებულო საშუალო ნორმებისა ერთ ჰექტარზე და დასაკონტრაქტებული პროდუქციის საერთო რაოდენობის შემდეგი რაოდენობითი და სექტორობითი განაწილება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	დარგვის გეგმა ჰექტარობით			ჩაბარების ნორმები ჰექტ. ცენტნერობით			პროდუქციის კონ-ტრაქტაცია ტონ.		
	კოლმეურ-ნეობებში	ერთპიროვ-ნულ მეურნ.	ს უ ლ	კოლმეურ-ნეობებში	ერთპიროვ-ნულ მეურნ.	საშუალოდ ჰექტ. რაიონ.	კოლმეურ-ნეობებში	ერთპიროვ-ნულ მეურნ.	ს უ ლ
აფხაზეთის ავტ. სსრ	3350	8650	12000	5,52	6,05	5,90	1848,0	5232,0	7080,0
ლაგოდეხის რაიონი	2265	935	3200	8,35	9,16	8,57	1891,3	856,5	2747,8
სიღნახის „	500	1000	1500	6,42	7,06	6,85	321,0	706,0	1027,0
ყვარლის „	63	217	280	6,98	7,67	7,51	44,0	166,4	210,4
გურჯაანის „	30	70	100	6,00	6,60	6,42	18,0	46,2	64,2
ბორჩალოს „	70	30	100	6,00	6,60	6,18	42,0	19,2	61,2
ზუგდიდის „	139	161	300	4,70	5,17	4,95	65,3	83,2	148,5
წალენჯიხის „	132	78	210	4,60	5,06	4,77	50,7	39,5	100,2
ჩხოროწყუს „	90	120	210	4,60	5,06	4,86	41,4	60,7	102,1
ჩოხატაურის „	500	50	550	4,31	4,75	4,35	215,5	23,8	239,3
აჭარისტანის ავტ. სსრ	479	271	750	5,27	5,79	5,46	252,4	156,9	409,3
სულ საქართველოში უაფხაზეთოდ . .	4268	2932	7200	6,91	7,36	7,1	2951,6	2158,4	5110,0
სულ საქართველოს სსრ-ში	7618	11582	19200	6,30	6,38	6,35	4799,6	7390,4	12190,0

4. თამბაქოს თვისების ასამაღლებლად დამტკიცებულ იქნეს კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის საქართველოს რაიონებში (უაფხაზეთოდ) ჩასაბარებელი თამბაქოს შემდეგი სავალდებულო მტკიცე ასორტიმენტი, რაიონებისა და ბოტანიკური ჯიშების მიხედვით (5112 №-ის სამრეწველო სტანდარტის თანახმად):

ა) „ტრაპიზონის“ თესლისა.

რაიონები	1 ხარისხი		2 ხარისხი		3 ხარისხი		ბრაკი		ჯამი	
	აბსოლ. (ტონ.)	%	აბსოლ. (ტონ)	%	აბსოლ. (ტონ.)	%	აბსოლ. (ტონ.)	%	აბსოლ. (ტონ.)	%
ლაგოდეხის რ.	82,4	3	1099,1	40	1291,5	47	274,8	10	2747,8	100
სიღნაღის „	41,1	4	462,1	45	441.6	43	82,2	8	1027,0	100
ყვარლის „	4,2	2	42,1	20	122,0	58	42,1	20	210,4	100
გურჯაანის „	0,6	1	9,0	14	38,5	60	16,1	25	64,2	100
ბორჩალოს „	0,6	1	8,6	14	37,1	60	15,5	25	61,8	100
აჭარისტან. ავტ. სსრ	24,5	12	77,8	38	86,0	42	16,4	8	204,7	100
ჯამი . . .	153,4	3,6	1698,7	39,4	2016,7	46,7	447,1	10,3	4315,9	100

ბ) „სამსუნის“ თესლისა.

რაიონები	1 ხარისხი		2 ხარისხი		3 ხარისხი		ბრაკი		ჯამი	
	აბსოლ. (ტონ.)	%	აბსოლ. (ტონ.)	%	აბსოლ. (ტონ.)	%	აბსოლ. (ტონ.)	%	აბსოლ. (ტონ.)	%
ზუგდიდის რ.	14,8	10	59,4	40	62,4	42	11,9	8	148,5	100
წალენჯიხის „	8,0	8	40,1	40	42,1	42	10,0	10	100,2	100
ჩხოროწყუს „	5,1	5	35,7	35	51,1	50	10,2	10	102,1	100
ჩოხატაურის „	14,4	6	95,7	40	105,3	44	23,9	10	239,3	100
აჭარისტან. ავტ. სსრ	24,6	12	77,7	38	85,9	42	16,4	8	204,6	100
ჯამი . . .	66,9	8,4	308,6	38,9	346,8	43,6	72,4	9,1	794,7	100

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომეტეტებს დაადიფერენცირონ ამა დადგენილებით განსაზღვრული ჩაბარების საშუალო რესპუბლიკანური სექტორობითი ნორმები ცალკეულ რაიონებზე და სექტორებზე ისეთი ვარაუდით, რომ დაცულ იქნეს როგორც ჩაბარების სექტორობითი ნორმები, ისე კონტრაქტაციის საერთო გეგმა.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—დაადგინოს 1934 წელს ჩასაბარებელი თამბაქოს ასორტიმენტი—ისე, რომ იგი გადიდებულ იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე 20%-ით 1932 წლის ფაქტიურ ასორტიმენტთან შედარებით.

წინადადება მიეცეს მეთამბაქოობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დაადიფერენცირონ თამბაქოს ჩაბარების საშუალო რაიონობითი და სექტორობითი ნორმები ცალკეულ კოლექტიურ მეურნეობებზე და სოფლებზე—ისე, რომ აუცილებლად დაცულ იქნეს ჩაბარების საშუალო ნორმები ზემოაღნიშნული ასორტიმენტის კვალობაზე როგორც სექტორებში, ისე რაიონებში მთლიანად.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე მეთამბაქოობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) თამბაქოს დარგვის გეგმების კოლექტიურ მეურნეობებამდე მიწვდენის დროს ანგარიშში მიიღონ, რომ საჭიროა სავსებით უზრუნველყოფილ იქნეს მეთამბაქოობის დარგი მუშა-ძალით;

ბ) უზრუნველყონ ერთი დეკადის ვადაზე კულაკურ-შეძლებული მეურნეობებისათვის თამბაქოს პროდუქციის მთელი საერთო მოსავლის ჩაბარების მტკიცე დავალიანებათა მიცემა—ერთ ჰექტარზე მოსავლიანობის შემდეგი საშუალო რაიონობითი ნორმების კვალობაზე: აფხაზეთის ავტ. სსრ-ში—7 ცენტნერი, ლაგოდეხის რაიონში—10,5 ცენტნერი, სიღნაღის რაიონში—9,0 ცენტნერი, ყვარლის რაიონში—9,5 ცენტნერი, გურჯაანში—8,0 ცენტნერი, ბორჩალოს რაიონში—8,0 ცენტნერი, ზუგდიდის რაიონში—6,5 ცენტნერი, წალენჯიხის რაიონში—6,5 ცენტნერი, ჩხოროწყუს რაიონში—6,5 ცენტნერი, ჩოხატაურის რაიონში—6,5 ცენტნერი და აჭარისტანის ავტ. სსრ-ში 7 ცენტნერი.

ამასთან ერთად, გადიდებულ იქნეს მტკიცე დავალებებით ჩასაბარებელი თამბაქოს ასორტიმენტი 10 პროცენტით საშუალო სარაიონო ასორტიმენტთან შედარებით.

6. მოსავლიანობის გადიდებისა და კონტრაქტანტების უფრო მეტად დაინტერესების სტიმულირებისათვის უფლება მიეცეს იმ კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებს, რომელთაც სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების გეგმა სავსებით შეასრულეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების კვალობაზე როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ, აწარმოონ ზედმეტი თამბაქოს ნედლეულის თავისუფალი რეალიზაცია; ამასთანავე, კოლექტიური მეურნეობანი, საერთო კრების დადგენილებით, გაანაწილებენ ზედმეტი თამბაქოს ნაწილს შრომა-დღეებზე, ხოლო ნაწილს მიჰყიდიან სახელმწიფოს თავისუფალი შესყიდვის წესით.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით ჩაბარების შემდეგ დარჩენილი ზედმეტი თამბაქოს თავისუფალი რეალიზაციის უფლება ეძლევათ კოლექტიურ მეურნეობებს კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებს მხოლოდ იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ, როდესაც თამბაქოს ჩაბარების გეგმა მთლად რესპუბლიკაში შესრულებულ იქნება სავსებით,—სსრ კავშირის სკს-თან არსებული სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის ნებართვით.

7. განისაზღვროს ფულადი საკონტრაქტაციო ავანსის შემდეგი საშუალო რაოდენობა დასაკონტრაქტებელი პროდუქციის თვითეულ ტონაზე: აფხაზეთში—750 მან. და საქართველოს დანარჩენ რაიონებში—450 მან., ხოლო დაფინანსების საერთო თანხა მთლად საქართველოში განისაზღვროს—7.610 ათასი მან. რაოდენობით; აქედან აფხაზეთის ავტ. სსრ-თვის—5.310 ათასი მან. და საქართველოს დანარჩენი რაიონებისათვის—2.300 ათასი მან.

ავანსების გაცემის ვადები განსაზღვრულ იქნეს მეთამბაქოობის ძირითადი საწარმოო პროცესების ჩატარების ვადების კვალობაზე:

ა) აფხაზეთის ავტ. სსრ-ში: 1-ლ კვარტ.—20%, მეორე კვარტ.—35% და მე-3 კვარტ.—45%.

ბ) საქართველოს დანარჩენ რაიონებში—30% თებერვალში (სანერგეების მომზადებისათვის), 30% აპრილ-მაისში (დარგვისათვის) და 40% ივლისში (მოსავლის აღებისა და დამუშავებისათვის).

9. მეთამბაქოობის სტიმულირების მიზნით დამტკიცებულ იქნეს მიცემა (მიყიდვა) კონტრაქტანტებისათვის მტკიცე სახელმწიფოებრივ ფასად:

ა) პურისა (მარცვალზე გამოანგარიშებით) საშუალო ნორმის კვალობაზე ერთ ტონა ნედლეულზე 18 ცენტნერის რაოდენობით აფხაზეთის ავტ. სსრ-ში და 10 ცენტნერის რაოდენობით საქართველოს დანარჩენ რაიონებში; შემოსაზიდი პურის საერთო ფონდი განისაზღვროს 17.854 ტონას რაოდენობით; აქედან აფხაზეთის ავტ. სსრ-თვის—12.744 ტონა და საქართველოს დანარჩენი რაიონებისათვის—110 ტონა;

ბ) შაქრისა ერთიანი საშუალო ნორმის კვალობაზე მთლად საქართველოსათვის (აფხაზეთითურთ) 25 კილოგრამის რაოდენობით ერთ ტონა ჩასაბარებელ ნედლეულზე; შემოსაზიდი შაქრის ფონდი განისაზღვროს 305 ტონას რაოდენობით; აქედან აფხაზეთის ავტ. სსრ-თვის—177 ტონა, ხოლო საქართველოს დანარჩენი რაიონებისათვის—128 ტონა.

10. დამტკიცებულ იქნეს მეთამბაქოობის სტიმულირების მიზნით კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული შრომითი მეურნეობებისათვის პურის მიცემის შემდეგი ვადები:

ა) აფხაზეთის ავტ. სსრ-ში: მე-2 კვარტ.—25%, მე-3 კვარტ.—35% და მე-4 კვარტ.—40%;

ბ) საქართველოს დანარჩენ რაიონებში: 1-ლ კვარტ.—10%, მე-2 კვარტ.—25%, მე-3 კვარტ.—20% და დანარჩენი 45% ნედლეულის ჩაბარების მიხედვით;

გ) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის განმარტების შესაბამისად, დატოვებულ იქნეს ძალაში 1934 წლის კამპანიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროსაც თამბაქოს კონტრაქტანტებისათვის აფხაზეთში მარცვალი ფურაჟის მიცემა 2 ცენტნერის რაოდენობით თვითეულ ტონა ჩაბარებულ თამბაქოზე.

11. შაქარი კოლექტიურ მეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს მიეცეს ორ ვადაზე:

ა) ივლისს-აგვისტოში — 15%;

ბ) ნედლეულის ჩაბარების მიხედვით — დანარჩენი 85%.

12. გასაცემი ფულადი ავანსებისა, პურისა და შაქრის საშუალო ნორმების მიხედვით საერთო ფონდების ფარგლებში დიფერენცირებულ უნდა იქნეს ეს ნორმები ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კოლექტიური მეურნეობებისათვის 30%-ით მეტის მიცემა, ვიდრე ერთპიროვნული მეურნეობებისათვის.

ამისდა შესაბამისად და მე-2 და 3 მუხლების თანახმად, დაწესებულ იქნეს ფულადი ავანსებისა, პურისა და შაქრის გაცემის შემდეგი რაოდენობითი სექტორული ნორმები დაკონტრაქტებული პროდუქციის ერთ ტონაზე:

[იხ. ცხრილი 173 გვ.]

13. წინადადება მიეცეს სასაქონლო ფონდების კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში — უზრუნველყოს თავის დროზე სამრეწველო საქონლის ფონდების გამოყოფა და მეთამბაქოობის რაიონებში შეზიდვა მეთამბაქოე-კონტრაქტანტებისათვის მისაყიდად შემოზიდვის დადგენილი კვარტალური გეგმების მიხედვით და შემდეგი მტკიცე ასორტიმენტით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1934 წ. იანვრის 25-ის, დადგენილებით: ფეხსაცმელი — 30%, გალოშები — 10%, ფართლეული — 40%, საოჯახო და ხელის საპონი — 10% და მზა-ტანისამოსი — 10%.

14. პასუხისმგებლობა თამბაქოს სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაციის ჩატარებისა, ფულადი ავანსების გაცემისა და პურით და შაქრით მომარაგებისათვის, აგრეთვე აგრო-საწარმოო კონტროლი დაეკისრის „აფთამბაქოს“ და „საქთამბაქონედლეულს“.

დაწესებულ იქნეს, რომ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს კოლექტიურ მეურნეობებთან (როგორც მათთან, ვისაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ, აგრეთვე იმათთან, ვისაც ეს სადგურები მომსახურეობას არ უწევენ) და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებთან სდებენ უშუალოდ „აფთამბაქო“ და „საქთამბაქონედლეული“ — კოლექტიური მეურნეობების მიმართ საწამოო გეგმებისა და ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების მიმართ გეგმა-განწესების სრული შესაბამისობით.

დაევალოს „აფთამბაქოს“ და „საქთამბაქონედლეულს“ — მოაწყონ თავიანთი სისტემის მეშვეობით დახმარების გაწევა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და კოლექტიური მეურნეობებისათვის — კოლექტიური მეურნეობების საწარმოო გეგმების თავის დროზე შედგენის საქმეში.

გაფრთხილების ნიშნად წინასწარ ეცნობოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, რომ ისინი პასუხისმგებელ არიან თამბაქოს [illegible] რგვის გეგმების კოლექტიურ მეურნეობათა თესვის საერთო გეგმაში ჩართვისა,

[12 მუხლისთვის, გვ. 172]

რაიონები	ფულადი ავანსები			პური			შაქარი		
	ნორმა ტონაზე მანეთობით		ავანსის საერთო თანხ. რაიონზე ათას მანეთობით	ნორმა ტონაზე მანეთობით		შემოსაზიდი პურის საერთო ფონდი ტონობით	ნორმა ტონაზე მანეთობით		შემოსაზიდი საერთო ფონდი ცენტნერობით
	კოლმეურნეობები	ერთპირ. მეურნ.		კოლმეურნეობ.	ერთპირ. მეურნ.		კოლმეურნეობ.	ერთპირ. მეურნეობ.	
აფხაზეთის ავტ. სსრ . . .	904,0	696,0	5311,5	2170,0	1669,0	2747,6	30,1	23,2	1770,0
ლაგოდეხის რ.	484,0	372,0	1236,6	1077,0	829,0	2747,6	26,9	20,8	689,4
სიღნაღის „	534,0	411,0	462,2	1189,0	914	1027	29,7	22,9	256,7
ყვარლის „	551,0	424,0	94,7	1223,0	941	210,3	30,5	23,5	52,6
გურჯაანის „	540,0	415,0	28,9	1200,0	922	64,2	30	23,1	16,0
ბორჩალოს „	484,0	372,0	27,8	1079,0	830	61,6	27	20,8	15,4
ზუგდიდის „	516,0	337,0	66,8	1148,0	883	148,4	28,7	22,1	37,1
წალენჯიხის „	495,0	381,0	45,1	1190,0	846	100,2	27,4	21,1	25,0
ჩხოროწყუს „	521,0	401,0	45,9	1158,0	891	192,1	29,0	22,3	25,5
ჩოხატაურის „	460,0	354,0	107,7	1024,0	787	239,3	25,6	19,7	59,3
აჭარისტანის ავტ. სსრ . .	193,0	380,0	184,3	1097,0	844	409,3	27,4	21,1	102,5
სულ საქართველოში უაფხაზეთოდ	502,6	386,6	2300	1108,0	852	5110	27,7	21,3	1280

დარგვის ხაზით საკონტრაქტაციო ვალდებულებათა შესრულებისა, აგროწესების შესრულებისა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული რაოდენობის და სათანადო თვისების თამბაქოს ნედლეულის ჩაბარებისათვის.

15. აგრომომსახურეობის გაწევა ორივე სექტორის მეთამბაქოობისათვის და აგრეთვე მთელი პასუხისმგებლობა დარგვის გეგმების და აგროწესების შესრულებისა, მოსავლიანობის გადიდებისა, მოსავლის აღებისა, დამუშავებისა, სტანდარტის შთანერგვისა და ნედლეულის ჩასაბარებლად მომზადებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მის სისტემას.

16. თამბაქოს პროდუქციის სავალდებულო სახელმწიფოებრივი კონტრაქტაცია გამლილ იქნეს დაუყოვნებლივ და დამთავრდეს არა უგვიანეს 1934 წლის აპრილის 1-ისა; ამასთანავე, უნდა მოეწყოს ფართო მასური ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1934 წ. მარტის 5.

ტფილისი.

75. დადგენილება ს.კ.ს.

მინდვრის თაგვების გამოკვლევისათვის საჭირო საგაზაფხულო სამუშაოების და მათთან ბრძოლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. იმ ფართობების გამოსაკვლევად, რაც მოცულია მინდვრის თაგვებით, და იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ხშირია ამ თაგვების გავრცელება, ჩატარებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე 133.000 ჰექტარი მიწის საკონტროლო დათვალიერება და 82.800 ჰექტარ მიწაზე თაგვებთან ბრძოლა (ცალკეულ რაიონებში ამა დადგენილებასთან დართულ ცხრილის მიხედვით).

2. წინადადება მიეცეს სამიწათმოქმედო განყოფილებებს—საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორების თანადასწრებით გაანაწილონ გამოსაკვლევი რაიონის ფართობები და აგრეთვე ის ფართობები, სადაც უნდა სწარმოებდეს ბრძოლა, ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს შორის, მათ მიერ მომსახურეობა-გასაწევ ფართობების შესაბამისად, და წარუდგინონ თაგვების გამოკვლევის და ბრძოლის ზედმიწევნითი გეგმები საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

3. საგამოკვლეო მუშაობა და პასუხისმგებლობა ბრძოლის ჩატარებისათვის დაეკისროს: საბჭოთა მეურნეობებში—ამ მეურნეობათა დირექციას, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ მომსახურეობა-გასაწევ კოლექტიურ მეურნეობებში—სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, ხოლო იმ კოლექტიურ მეურ-

ნეობებში, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურებისათვის უწევენ, ერთპიროვნულ მეურნეობებში და სახელმწიფო ფონდის მიწებზე—სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს.

4. წინადადება მიეცეს საბჭოთა მეურნეობებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს:

ა) უზრუნველყონ საგამოკვლევო სამუშაოები და თაგვებთან ბრძოლა აგროტექნიკური პერსონალით;

ბ) გაანაწილონ მთელი ფართობი გამოსაკვლევ ნაკვეთებზე და ბრძოლა-საწარმოებელ ნაკვეთებზე და მიამაგრონ თვითეულ ნაკვეთზე აგროტექნიკური პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია მთლად იმ მუშაობისათვის, რაც ჩატარებულ უნდა იქნეს გამოსაკვლევად და თაგვებთან საბრძოლველად;

გ) გააზუსტონ გამოკვლევის ცნობების შესაბამისად თაგვებთან ბრძოლის საშუალებანი და, უკეთუ მინდვრის თაგვები აღმოჩნდებიან გეგმით გაუთვალისწინებელ ფართობებზე, უზრუნველყონ ბრძოლა მათთან ამ ნაკვეთებზედაც;

დ) უზრუნველყონ თაგვებთან ბრძოლის მწარმოებელი ბრიგადები შხამებით, მასალით (ფქვილი, გამომცხვარი პური), ტრანსპორტით, ინვენტარით და მუშა-ძალით;

ე) წარუდგინონ საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ცნობები ბრძოლის ჩატარებისა და მისი ეფექტიობის შესახებ, ხოლო მუშაობის დამთავრების შემდეგ—საბოლოო ანგარიში ჩატარებული მუშაობისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს „სოფმომარაგებას“ უზრუნველყოს მინდვრის თაგვებთან ბრძოლა საჭირო შხამებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მარტის 11.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი

მინდვრის თაგვის გავრცელების გამოკვლევისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის 1934 წლის საგაზაფხულო გეგმა.

რაიონის დასახელება	გამოსაკვლევი ფართობი				გამოკვლევის დამთავრების ვადები	ბრძოლ. ფართობი ყველა სექტ. ჰექტარ.	ბრძოლ. დამთავრების ვადები
	საბჭოთა მეურნ.	კოლმეურნ.	ერთპირ. მეურნ.	ს ულ			
1. ტფილისის	2000	2000	2000	6000	10/3	4500	20/3
2. დუშეთის	1000	1000	3000	5000	10/4	500	20/4
3. თიანეთის	1000	4000	1000	6000	10/4	1500	20/4
4. თელავის	2000	3000	3000	8000	10/3	6000	20/3
5. გურჯაანის	800	1000	1200	3000	1/3	1000	10/3
6. ყვარლის	400	600	1000	2000	1/3	1000	10/3
7. ლაგოდეხის	500	—	500	1000	1/3	800	10/3
8 სიღნაღის	1000	—	2000	3000	1/3	2000	10/3
9. საგარეჯოს	1000	500	500	2000	1/4	3000	10/4
10. აღბულახ-მანგლისის	1000	3000	1000	5000	1/4	3000	10/4
11. წალკის	5000	2000	3000	10000	10/4	5000	20/4
12. ყარაიას	500	400	100	1000	1/4	200	10/4
13. ბორჩალოს	1000	3000	2000	6000	1/4	4300	10/3
14. ლუქსემბურგის	1000	1000	1000	3000	10/4	2000	20/4
15. ბაშკიჩეთის	2000	2000	1000	5000	1/4	3500	10/4
16. კასპის	1500	500	1000	3000	10/3	1000	20/3
17. გორის	2000	2000	3000	7000	10/3	5000	20/3
18. სტალინისის	1000	1000	1000	3000	10/3	1000	20/3
19. ბორჯომის	1000	500	500	2000	10/3	2000	20/3
20. ახალციხის	1000	500	1500	3000	1/4	1000	10/4
21. ადიგენის	1000	500	1500	3000	1/4	1000	10/4
22. ასპინძის	1000	1500	500	3000	1/4	1500	10/4
23. ახალქალაქის	3000	6000	3000	12000	10/4	10000	20/4
24. ბოგდანოვკის	10000	5000	5000	20000	10/4	19000	20/4
25. ონის	200	300	500	1000	10/3	—	—
26. ქვემო-სვანეთის	200	300	500	1000	10/3	—	—
27. ზემო-სვანეთის	500	—	500	1000	10/4	—	—
28. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი .	500	3000	4500	8000	10/4	3000	20/4
ს უ ლ	43100	44.600	45300	133000	—	82800	—

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 66 №-ში 1934 წ. მარტის 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მომარაგება

76. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც. კ.

კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ 1934 წელს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, მზეუჭვრიტის, ბრინჯის და კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული 1934 წლის თებერვლის 10-ის დადგენილებისა (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას“ 37 №-ი, 1934 წ. თებერვლის 11-ისა) და „კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის, მზეუჭვრიტის და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული 1934 წ. თებერვლის 25-ის დადგენილების (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტიას“ 49 №-ი 1934 წ. თებერვლის 26-ისა) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს—კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ 1934 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების რაიონობითი ნორმები—რაიონების ჯგუფებზე განაწილებით და 1934 წლის გაზაფხულზე კარტოფილის თესვის გეგმით ჰექტარზე დადგენილი ანგარიშის მიხედვით (ცენტნერობით): [იხ. ცხრილი 173 გვ.]

2. წინადადება მიეცეს აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაადგინონ კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების სარაიონო ნორმები; ამასთანავე მათ შეუძლიათ ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ნორმების აწევ-დაწევა, ხოლო ისეთი ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამ რესპუბლიკისა და ოლქისათვის სექტორების მიხედვით დაწესებული კარტოფილის რაოდენობის ჩაბარება, და რომ ამ ჩაბარების საშუალო ნორმა რესპუბლიკასა და ოლქში ნაკლები არ იყოს 1-ლ მუხლში აღნიშნულ ნორმაზე.

3. კარტოფილი ჩაბარებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ ფართობიდან, რაც დადგენილია კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის გეგმით „1934 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. იანვრის 20-ის დადგენილების საფუძველზე.

კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ ამ გეგმის ზედმეტად დათესილი ფართობიდან სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარება არ სწარმოებს.

[ცხრილი 1-ლი მუხლისთვის, გვ. 177]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონები	კოლექტიურ. მეურნეობანი, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტ. სადგურ. უწევენ.	კოლექტ. მეურნეობანი, რომელთაც მომსახურეობას სამანქ.-სატრაქტორო სადგ. არ უწევენ	კოლმეურნენი, რომელთაც აქვთ არა განსაზოგადოებ. ნათესი	ერთპიროვნული მეურნეობანი
I. ჯგუფი.				
ახალციხის და ალბულახ-მანგლისის რაიონები	8	10	14	15
II. ჯგუფი.				
სტალინისის, ბორჯომის, ლუქსემბურგის, წალკის და ბაშკიჩეთის რაიონები	6,5	8	9	10
III ჯგუფი.				
ადიგენის, ასპინძის, თელავის, ტფილისის, დუშეთის, სიღნაღის, თიანეთის და საგარეჯოს რაიონები და აჭარისტანის ავტ. სსრ	5	6	7	8
IV ჯგუფი.				
გორის და ონის რაიონები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი	4,5	5,5	6,5	7

4. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის 1934 წლის თებერვლის 15-ის დადგენილებით დამტკიცებული საკალენდრო ვადების შესაბამისად განსაზღვრულ იქნეს კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კართოფილის ჩაბარების წლიურ ვალდებულებათა შესრულებისათვის შემდეგი რაიონობითი საკალენდრო ვადები: [იხ. ცხრილი 179 გვ.]

5. დაევალოს აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს სსრ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ჩააბარონ არა უგვიანეს 1934 წ. აპრილის 1-ისა კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების ვალდებულებანი, ამ ვალდებულებათა აღსრულების ვადების აღნიშვნით.

6. კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის ამა დადგენილებით დაწესებულ ვალდებულებათა შესრულების სათვალავში მიი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცენტობით წლიური ჩაბარება:

რაიონები	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბრის 1-დან ნოემ-ბრის 15-მდე
1 ახალციხის რაიონი	—	—	29	48	23
2 აღბულ.-მანგლ. „	37	10	15	18	20
3 სტალინისის „	—	—	50	50	—
4 ბორჯომის „	—	—	36	45	19
5 ლუქსემბურგის „	18	18	31	20	13
6 წალკის . . . „	—	—	10	53	37
7 ბაშკიჩეთის . . „	—	—	22	50	28
8 ადიგენის . . . „	—	—	25	45	30
9 ასპინძის . . . „	—	—	25	45	30
10 სიღნაღის . . . „	—	—	50	50	—
11 თელავის . . . „	—	—	55	45	—
12 ტფილისის . . „	20	20	30	30	—
13 დუშეთის . . „	—	—	50	40	10
14 თიანეთის . . „	—	—	25	40	35
15 საგარეჯოს . . „	8	12	32	28	20
16 გორის . . . . „	—	—	80	20	—
17 ონის . . . . „	—	—	35	35	30
18 აჭარის. ავ. სსრ. „	—	—	25	50	25
19 სამ.-ოს. ავ. ოლქ. „	—	—	75	15	10

ღება მხოლოდ კარგი თვისების კარტოფილი (მშრალი, მიწისაგან გაწმენდილი და საღი); სველი, დაავადებული, მექანიკურად დაზიანებული და დამძრალი კარტოფილი არ ჩაითვლება კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების ვალდებულებათა შესრულებაში.

7. კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც არ შეასრულებს თავის ვალდებულებას სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარებისას ამა დადგენილებით განსაზღვრულ საკალენდრო ვადაზე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებული, სასოფლო საბჭოს შეშვეობით, გადაახდევინებს ფულად ჯარიმას ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების რაოდენობით, და, ამის გარდა, ამ კოლექტიურ მეურნეობას ვადამდე გადაჰხდება უდავო წესით მთელი წლის ვალდებულებით ჩასაბარებელი კარტოფილი.

იმ ერთპიროვნულ მეურნეობას, რომელიც არ შეასრულებს თავის ვალდებულებას სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარებისას დადგენილ ვადაზე, უკეთუ ამ შეუსრულებლობას არ ჰქონდა ბოროტული ან ჯგუფობრივი ხასიათი, გადაჰხდება ჯარიმა ზემოაღნიშნული წესით ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის საბაზრო ღირებულების ხუთჯერადი რაოდენობით და, ამის გარდა, ამ მეურნეობას ვადამდე გადახდება უდავო წესით მთელი წლის ვალდებულებით ჩასაბარებელი კარტოფილი.

უკეთუ ერთპიროვნული მეურნეობანი ჯგუფურად ან ბოროტულად არ შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებას სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარებისას, დამნაშავენი მიიცემიან პასუხისგებაში სასამართლო წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის თანახმად.

8. ამა დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულება სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარებისა შეადგენს თვითეული კოლექტიური მეურნეობისა და ერთპიროვნული მეურნეობის საპირველრიგო მოვალეობას და აღსრულებულ უნდა იქნეს პირველ რიგში ამოღებული კარტოფილის ჩაბარებით.

დაწესებულ იქნეს, რომ კარტოფილის საკოლმეურნეო ვაჭრობა ნებადართულ იქნება მხოლოდ ამა დადგენილებით გათვალისწინებული კარტოფილის ჩაბარების გეგმის მთლად რესპუბლიკაში აღსრულებისა და, ამ გეგმის აღსრულებისას, სათესლე ფონდების სრული დაგროვების შემდეგ.

9. კატეგორიულად ეკრძალებათ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და დამმზადებელ ორგანიზაციებს შემხვედრი გეგმების შემოღება ან კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის კარტოფილის ჩაბარების ისეთ ვალდებულებათა დაკისრება, რაც აღემატება ამა დადგენილებით განსაზღვრულ საჰექტარო ნორმებს.

10. სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების შემდეგ მთელი ზედმეტი კარტოფილი რჩება თვით კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობების სრულ განკარგულებაში.

11. წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში გამოსცეს ხუთი დღის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის და დაამყაროს ადგილებზე ცოცხალი ინსტრუქტაჟი, სასტიკი კონტროლი და ანგარიშგება კარტოფილის დამზადების ასრულების მსვლელობისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1934 წ. მარტის 4

ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 54 №-ში 1934 წ. მარტის 5.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

77. დადგენილება ს.კ.ს.

საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებობს სხვადასხვა ნაკლოვანება, როგორც არის: ტრანსპორტის მუშაობისათვის კონკრეტული ხელმძღვანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის გაუწევლობა, არასაკმარისი ყურადღება ტექნიკური სამსახურის ორგანიზაციისადმი, მანქანის სათანადო მოვლა-პატრონობის არქონა, გეგმიანი წინასწარ-საფრთხილებელი რემონტის მოუგვარებლობა, შოფერთა კადრების არადამაკმაყოფილებელი მომზადებულობა, შრომის დისციპლინის სისუსტე და სხვა მისთ.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

დაევალოს ავტოტრანსპორტის მქონე ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებას, ორგანიზაციას და საწარმოს:

1. შეიმუშაოს, ავტოტრანსპორტის ქვედა რგოლეულების ტიპური დებულების საფუძველზე, დებულება მისი ქვემდებარე ავტომეურნეობის შესახებ, ამ მეურნეობის სპეციფიკური პირობების ანგარიშში მიღებით.

2. გააუქმოს მის მიერ წინად გამოცემული ყველა დებულება, ინსტრუქცია და საშტატო განრიგება, რაც ეწინააღმდეგება ქვედა რგოლეულის ტიპურ დებულებას.

3. შეუთანხმოს ზემოაღნიშნული დებულება, სამოქმედოდ შემოღებამდე, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს.

4. აწარმოოს უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის ავტომომუშავეთა მიღება, დათხოვნა და გადაყვან-გადმოყვანა საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან შეთანხმებით.

II.

ავტომობილების მომსახურეობის უცილობელი გაუმჯობესებისა და გაუპიროვნებული მიმოსვლის აღმოფხვრის მიზნით დაევალოს ყველა ავტომეურნეობას:

1. შემოიღოს, როგორც სავალდებულო წესი, ავტომობილების გეგმიანი წინასწარ-საფრთხილებელი რემონტი (№№ 0, 1, 2 და 3) და აწარმოოს ეს რემონტი სსრ კავშირის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს და საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს სახელმძღვანელო მითითებათა შესაბამისად.

2. გააუქმოს მანქანებისათვის ჯგუფური მომსახურეობის გაწევა სამი-ოთხი შოფერის მიერ და დააწესოს დაწყვილებული მიმოსვლა; ამ მიზნით მიამაგროს თვითეულ მანქანას ორ-ორი შოფერი, დააკისროს მათ პასუხისმგებლობა მანქანის მდგომარეობისათვის მუშაობის დროს და კატეგორიულად აკრძალოს ერთი ავტომობილიდან მეორე ავტომობილზე შოფერების გადასმა-გადმოსმა.

მიმაგრებულ შოფერებს მანქანა გადაეცემათ მიღება-ჩაბარების აქტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. სატრაქტო მუშაობის პირობებში, ტრაქტის გაწფენილობისა, საშუალედო პუნქტების მდებარეობისა, გზების მდგომარეობისა და სხვა საექსპლოატაციო პირობების მიხედვით, მანქანაზე შეიძლება მიმაგრებულ იქნეს სამი შოფერი.

3. შემოიღოს, როგორც საერთო წესი, საავტომობილო მეურნეობაში წყვეტილი სამუშაო ექვსდღიანი კვირა მანქანებისათვის, როდესაც საწარმო შეუწყვეტლად მუშაობს, რისთვისაც მანქანათა მთელი პარკი დაყოფილ უნდა იქნეს ექვს ჯგუფად—ისე, რომ ყოველ დღე პარკის ერთი მეექვსედი ნაწილი იმყოფებოდეს გეგმიან წინასწარ-საფრთხილებელ 1-ლი №-ის რემონტში.

4. დააწესოს, რომ 0 და 1 №-ის რემონტს აწარმოებენ სპეციალური სარემონტო ბრიგადები, რომლებიც მოეწყობიან კომპლექსურ ბრიგადებად (მრეგულირებელისა და ელექტრომონტიორის გამოკლებით). სარემონტო ბრიგადებს უნდა მიემაგროს მანქანათა ჯგუფები.

შენიშვნა. იმ მეურნეობაში, სადაც, მანქანათა რიცხვის მიხედვით, სპეციალური სარემონტო ბრიგადების მოწყობა მიზანშეუწონელია, გეგმიანი წინასწარ-საფრთხილებელი 0 №-ის რემონტი უნდა დაეკისროს შოფერებს.

5. დააწესოს, რომ, მუშაობიდან დაბრუნებისას, თვითეული შოფერი მოვალეა წარუდგინოს გარაჟის მორიგეს (მექანიკოსს) წერილობითი ცნობები მის მიერ მუშაობის დროს ავტომობილში შემჩნეული ყველა ნაკლის შესახებ.

6. შემოიღოს, როგორც საერთო წესი, რომ მე-2 №-ის რემონტის დროს დასარემონტებელი მანქანის შოფერები გამოყენებულ იქნენ სარემონტო სამუშაოებისათვის.

შენიშვნა. გეგმიანი წინასწარ-საფრთხილებელი მე-3 №-ის რემონტის დროს შოფერების მიერ მუშაობის გაცდენის აღმოსაფხვრელად შეფარდებულ უნდა იქნეს ამ დროისთვის იმ შოფერთა სათანადო ბრიგადების ყოველწლიური შვებულება, რომელნიც მომსახურეობას უწევენ რემონტში მიქცეულ მანქანებს.

7. თავისი მანქანის რემონტში მონაწილე შოფერი ჩაირიცხება სათანადო სარემონტო ბრიგადის შედგენილობაში, და მას სასყიდელი მიეცემა სარემონტო ბრიგადის მუშების თანაბრად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით.

8. ნება დაერთვას დიდრონ ავტომეურნეობებს იყოლიონ შოფერთა რეზერვი, ხოლო არა უმეტეს მეურნეობის შოფერთა საერთო რიცხვის 10%-ისა, ავადმყოფთა და პატივსადები მიზეზით არმყოფთა შესაცვლელად.

9. თვითეულ სარემონტო კომპლექსურ ბრიგადას სათავეში უნდა უდგეს ბრიგადირი, რომელიც ორგანიზატორია თავისი ბრიგადის მუშაობისა და ქვედა საადმინისტრაციო პირი, სავსებით პასუხისმგებელი თავისი ბრიგადის მუშაობისათვის.

ბრიგადირი, როგორც საერთო წესი, არ განთავისუფლდება მუშაობისაგან, ხოლო, ბრიგადის მომუშავეთა რიცხვისა, მუშაობის მოცულობისა და პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობების მიხედვით, იგი შეიძლება მთლად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულ იქნეს სარემონტო სამუშაოების უშუალოდ შესრულებისაგან, ბრიგადისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

10. თავისი ბრიგადის მუშაობის კარგი ხელმძღვანელობისათვის და სამუშაოების თავის დროზე და სათანადოდ (თვისება) შესრულების სფეროში მეთვალყურეობის გაწევისათვის დაწესებულ იქნეს კომპლექსური (გაერთიანებული) ბრიგადების ბრიგადირებისათვის, საერთო პრემიის გარდა, რაც ამ ბრიგადისათვის არის განსაზღვრული, აგრეთვე დამატებითი პრემია მათი სატარიფო განაკვეთის 10%-ის რაოდენობით.

11. ავტომობილების რემონტისათვის ბრიგადების დასასყიდლება და დაპრემიება, აგრეთვე რემონტში მონაწილე შოფერების დასასყიდლება სწარმოებს იმ სისტემით, რაც დადგენილია სსრ კავშირის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს მიერ, ავტოტრანსპორტზე სამუშაო ხელფასის გარდაქმნის შესახებ სრულიად საკავშირო სატარიფო თათბირის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

10. დაწესებულ იქნეს, რომ კაპიტალური რემონტიდან მანქანის მიღება უნდა სწარმოებდეს რემონტის სახელმძღვანელო მასალებისათვის დართული აქტით; ამასთანავე, მანქანის მიღების დროს დეფექტების აღმოჩენისათვის შოფერი მიიღებს პრემიას ამ დეფექტების ასაცილებლად წარმოებული მუშაობის ღირებულების 10%-ის რაოდენობით.

III.

ვინაიდან მტარებელთა კადრების მომზადების დონე დაბლა დგას, შოფერთა კადრების მოსამზადებელი კურსები და სკოლები უზრუნველყოფილ არ არიან სათვალჩინო დამხმარე საგნებით და სათანადო გაწყობილობით, საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ა) რათა კატეგორიულად აიკრძალოს შოფერთა კადრების მოსამზადებელი სკოლებისა და კურსების გახსნა ამ სკოლების და კურსების წინასწარ სათანადოდ გაუწყობლად და თვითეულ ცალკე შემთხვევაში საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ნებადაურთველად;

ბ) რათა სკოლებისა და კურსების როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მეცადინეობის პროგრამები შეთანხმებულ იქნეს საქართველოს გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოსთან.

IV.

1. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა ავტომეურნეობას—წარუდგინოს ხოლმე წესიერად, დადგენილ ვადაზე, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ან მის ადგილობრივ ორგანოებს საექსპლოატაციო ანგარიშგება.

2. მტარებელთა შედგენილობას შორის შრომის დისციპლინის ... ლებლად შემოღებულ „ქნეს ავარიებისა და შრომის დისციპლინის დარღვევის ცალკეული შემთხვევების მტკიცე აღრიცხვა. ამ საკითხის შესაბამი ანგარიშგება შედგენილ უნდა იქნეს სსრ კავშირის გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს ფორმების მიხედვით და წარედგინოს განსაზღვრულ ვადაზე საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს. ავარიებში ან შრომის დისციპლინის დარღვევაში დამნაშავე პირთა შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს და სატრანსპორტო პროკურატურას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1934 წ. მარტის 21.

ტფილისი.

შ რ ო მ ა

78. დადგენილება ს.კ.ს.

მომუშავეთა რაოდენობისა და სამუშაო ხელფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვის შესახებ.

1. „მომუშავეთა რაოდენობის და სამუშაო ხელფასის ერთდროული აღრიცხვის შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. იანვრის 19-ის დადგენილების შესაბამისად (ოქმი № 1, 1934 წ.), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს ყველა რესპუბლიკანურ უწყებას და ორგანიზაციას (სახელმწიფო, საპროფკავშირო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და სხვ.), ხელქვეითობის ფორმის დამოუკიდებლად (საკავშირო, ფედერატიული, რესპუბლიკანური), და აგრეთვე ყველა სარაიონო ორგანიზაციას—წარმოუდგინოს არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 20-ისა საქართველოს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებს ცნობები მის ქვემდებარე დაწესებულებასა და საწარმოში მოსაქმე პერსონალის რაოდენობისა და სამუშაო ხელფასის ფონდის შესახებ 1934 წლის მარტის განმავლობაში.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამა დადგენილების დარღვევის თვითეული შემთხვევა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. მარტის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 69 №-ში 1934 წ. მარტის 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

79. დადგენილება ს.კ.ს.

შვიდსაათიანი სამუშაო დღის პრაქტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად მოწყობილი რესპუბლიკანური კომისიის გაუქმების შესახებ.

„ა/კსფსრ-ში შვიდსაათიანი სამუშაო დღის შემოღების შედეგთა შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. აპრილის 5-ის დადგენილების შესაბამისად (ა/კსფსრ კან. კრ. 1933 წ. მე-10—11 №-ი, მუხ. 103) და იმის გამო, რომ საქართველოს სსრ საწარმონი ძირითადად უკვე გადაყვანილ არიან შვიდსაათიან სამუშაო დღეზე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის თებერვლის 15-ის დადგენილება „7 საათის სამუშაო დღის პრაქტიკულად განხორციელების საკითხის შესამუშავებლად რესპუბლიკანური კომისიის მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-2 №-ი, მუხ. 17) და მოწყობილი რესპუბლაკანური კომისია გაუქმებულ იქნეს.

2. შემდგომ შვიდსაათიანი სამუშაო დღის საკითხების მოწესრიგება დაეკისროს საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. მარტის 10.
ტფილისი.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

80. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მოსახლეობას შორის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისა, მშრომელთა მასების კულტურული დონის ამაღლებისა და სოციალუსტურ მშენებლობაში მათი შეგნებული მონაწილეობისათვის საჭირო მუშაობაში საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების მონაწილეობის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ჩატარებულ იქნეს წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია საქართველოს სსრ-ის მშრომელ და, საერთოდ, ორგანიზებულ მოსახლეობას შორის ასაკით 45 წლამდე, ხოლო არაორგანიზებულ მოსახლეობას შორის — ასაკით 40 წლამდე, კერძოდ სამხედრო-ვალდებულთა და სამხედრო-მსახურთა და იმ მოქალაქეთა შორის, რომელთაც 18 წელი შე-

ჰსრულებიათ და წერა-კითხვა არ იციან და რომელთაც უნდა მოიხადონ სამხედრო სამსახური საკადრო ნაწილებში, ტერიტორიალური ნაწილების — ცალკეებად შედგენილობაში, ჯარს-გარეშე წესით ან გაიარონ მომზადება ჯარში გაწვევამდე.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულმა ყველა მოქალაქემ უნდა მოახდინოს თავისი წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაცია საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში იმვადაზე, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-3 მუხლში.

3. უკანასკნელ ვადად წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებით და ავტონომიური ოლქითურთ, დაინიშნოს 1934 წლის ბოლო.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს:

ა) უზრუნველყონ 1-ლ მუხლში აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის ჩაბმა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლებში;

ბ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩაბარებისა და მთავრობის მიერ ამ სფეროში გამოცემულ დადგენილებათა აღსრულებისათვის;

გ) უზრუნველყონ თავის დროზე წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სკოლები სადგომებით, ინვენტარით, განათებით და გათბობით.

5. წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის ჩატარებისათვის საჭირო საფინანსო ბაზისის შესაქმნელად მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული სამეურნეო, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსარი, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ ორგანიზაციების საფინანსო გეგმებში. ამ სახსრის გამოყენების წესი განისაზღვრება აღნიშნულ ორგანიზაციებსა და განათლების სათანადო ორგანოებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს — წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო მუშაობაში მონაწილე სამეურნეო, პროფესონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოპერატიული გეგმების საფეძველზე დასდოს ამ ორგანიზაციებთან სათანადო ხელშეკრულებანი.

7. იმ პირს, ვინც თავს აარიდებს ამა დადგენილებით გათვალისწინებული, თავისი წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის მოვალეობას, აგრეთვე იმ პირს, ვინც ხელს შეუშლის აღნიშნული მოვალეობის ასრულებას, დაედება საადმინისტრაციო წესით გადასახდელი — იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე ან ჯარიმა 100 მანეთამდე. ეს გადასახდელი დაიდება ადმინისტრატიულ გადასახდელთა წესების მიხედვით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207; 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 236).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში მყოფ სამხედრო მსახურებ დაედებათ სადისციპლინო გადასახდელი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის დისციპლინის წესდების თანახმად.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 11-ის დადგენილება „მშრომელ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 21 №-ი, მუხ. 241; 1930 წ. მე-14 №-ი, მუხ. 222);

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 14-ის დადგენილება „საქართველოს სსრ მშრომელ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 85.);

გ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 10-ის დადგენილება „1933 წელს წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის საჭირო მუშაობის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-4 №-ი, მუხ. 63).

9. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს — განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. მარტის 10.

ტფილისი.

---

81. დადგენილება ს.კ.ს.

მუსიკალურ-ფილჰარმონიული სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა და მუსიკალურ-საწარმოთა, საესტრადო და საგასტროლო-სათეატრო საქმის სახელმწიფო შენაერთის მოწყობის შესახებ.

რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა შესაბამისად საქართველოს მუსიკალური კულტურის განვითარებისათვის უკეთესი პირობების შექმნისა და მუსიკის სფეროში სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით, აგრეთვე საკონცერტო-საესტრადო საქმის მოწესრიგებისა და ამ სფეროში აჟიოტაჟისა და შეუწყნარებელი კონკურენციის გამომწვევ მოვლენათა აღკვეთის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილება ქართული ფილჰარმონიის რეორგანიზაციის შესახებ, რომლის ნაცვლადაც მოეწყოს:

ა) მუსიკალურ-ფილჰარმონიული სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, რომლის მიზანია სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის წარმოება მუსიკალური კულტურის სფეროში;

ბ) მუსიკალურ საწარმოთა, საესტრადო და საგასტროლო-სათეატრო საქმის სახელმწიფო შენაერთი, რომლის მიზანია საესტრადო, საგასტროლო და სათეატრო საქმის მოწყობა და აგრეთვე სხვა სახის მუსიკალურ-თეატრალურ ღონისძიებათა განხორციელება.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—უზრუნველყონ მუსიკალურ-ფილჰარმონიული სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შენახვა განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვით 1934 წ. სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დამტკიცებული საკონტროლო ციფრების ფარგლებში.

მუსიკალურ საწარმოთა, საესტრადო და საგასტროლო-სათეატრო საქმის სახელმწიფო შენაერთი მოქმედობს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

3. მიენდოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—გამოსცეს დებულებანი ზემოაღნიშნულ ინსტიტუტისა და შენაერთის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. ყურულაშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1934 წ. მარტის 2.

ტფილისი.

ჯანმრთელობის დაცვა

82. დადგენილება ს.კ.ს.

შრომა-გასწორების დაწესებულებათა მედიკურ-სანიტარული მომსახურეობის საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შრომა-გასწორების დაწესებულებათა მედიკურ-სანიტარული მომსახურეობა ჩამოერთვას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს და გადაეცეს საქართველოს სსრ შრომა-გასწორების დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს გამგებლობაში, რომელსაც წინადადება ეძლევა—მოაწყოს თავის სისტემაში მედიკურ-სანიტარული ჯგუფი.

2. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—გადასცეს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს მთლად არსებული მედიკურ-სანიტარული ქსელი, რომელიც მომსახურეობას უწევს შრომა-გასწორების დაწესებულებათ როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, და რომელიც იმყოფება სახელმწიფო ბიუჯეტზე,—შტატებით, კრედიტებით, სამედიცინო და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეო ქონებით, სულიერი და უ'ულო ინვენტარით, იმ მდგომარეობაში, რაც 1934 წლის იანვრის 1-თვის იყო.

3. დაეტოვოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი შრომა-გასწორების დაწესებულებათა მთავარი სამართველოს მედიკურ-სანიტარული ჯგუფის საქმიანობისათვის სამედიცინო ხაზით.

4. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს—193' წ. იანვრის 1-დან გამოყოს და გადასცეს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს ყველა ის კრედიტი, რაც საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაშია შრომა-გასწორების დაწესებულებათა შტატის შესანახად და მათთვის მედიკურ-სანიტარული მომსახურეობის გასაწევად.

5. მიენდოს შრომა-გასწორების დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან ერთად, გამოსცეს ორი დეკადის ვადაზე დებულება შრომა-გასწორების დაწესებულებათა მთავარი სამმართველოს მედიკურ-სანიტარული ჯგუფის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1934 წ. მარტის 10.

ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ა ნ რ ი გ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფასოდ დაგზავნისათვის 1934 წელს

№№ რიგზე	დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი	ცალების რიცხვი
1	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს .	2
3	სასოფლო საბჭოებს	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს	7
6	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს	2
7	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს.	12
9	ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს	5
10	სახალხო სასამართლოებს	1
11	სარაიონო პროკურორებს	1
12	სახალხო გამომძიებლებს	1

ფასი 60 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს.კ. ს-ოს / საქმეთა მმართველობა 1934 წ. № 11. პ/მ **რედაქტორი ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; $2^3/_8$ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი.
გადაეცა სტამბას 11/IV ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/V; ტირაჟი 1.600.

მთავლიტი ს.—№ 26. საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 691.